ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №148860

ნომერი: AR144497

თარიღი : 27.04.2012

გაცემის თარიღი : 03.05.2012

გაცნობის თარიღი : 03.05.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩოლოყაშვილი , N 50ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

გელა ტოკლიკიშვილი პ/ნ 01001069564

თბილისი ბარალეთის ქ. N 57

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისისმერიისსსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის

06 ივნისის №770 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 27 აპრილს №AR144497 განცხადებით მომართა მოქ. გელა ტოკლიკიშვილმა და მოითხოვა 2011 წლის 06 ივნისის სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების №770 პირობებში ცვლილების განხორციელება კერძოდ, აღნიშნულ სამართლებრივ აქტში დაფიქსირებული შეზღუდვის მოხსნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 06 ივნისს დამტკიცდა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების №770 პირობები ქ. თბილისში, ისანი–სამგორის რაიონში, ჩოლოყაშვილის ქ. #50ა–ში (ნაკვეთი #060/029) სასაწყობო მეურნეობის აშენების მიზნით

სამრეწველო ზონა 1 (ს–1)–ის, საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1)–ისა და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1)–ის პარამეტრებით და პირობებით (განმცხადებელი: შპს ,,ომეგა ნ–"ის წარმომადგენელი გელა ტოკლიკიშვილი). საპროექტო მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი 2011 წლის 29 დეკემბერს განიხილა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიამ და მიიღო დადებითი დასკვნა (ოქმი #50). კომისიის რეკომენდაციით საკითხი განხილული იქნა ქ. თბილისის საკრებულოს მიერ და 2012 წლის 24 თებერვლის #2–3 გადაწყვეტილებით სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1) შეიცვალა სამრეწველო ზონა 1 (ს–1)–ითა და საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1)–ით (იხ. დანართი). აქედან გამომდინარე, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით დასაშვებია სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების №770 პირობებში ცვლილების შეტანა და ფუნქციურ ზონად მითითებული სატრანსპორტო ზონა 1–ისა და ამ ზონისათვის დადგენილი შეზღუდვების ამოღება.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის. ამდენად, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურს ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება 2011 წლის 06 ივნისის სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების №770 პირობებში ცვლილებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს მოქ. გელა ტოკლიკიშვილის 2012 წლის 27 აპრილის №AR144497 განცხადება;

2. შევიდეს ცვლილება თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 06 ივნისის №770 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო ტერიტორიის ფუნქციურ ზონად მითითებული იქნეს სამრეწველო ზონა 1 (ს–1) და საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1) (იხ. დანართი ახალი ფუნქციური ზონების სქემა).

3. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 06 ივნისის №770 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.